



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 2982

14/09/2020

2982-09-2-202009141647



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით -იჯარის ფორმით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

პროექტი მომზადებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, აუქციონის გარეშე, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით -იჯარის ფორმით გასცეს მუნიციპალიტეტის ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

- პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.
- პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, გია ნაჭყეზიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეზონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1387

07/09/2020

1387-09-3-202009071818



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2020 წლის 25 აგვისტოს N 4623 განცხადებით მომართა მოქალაქე მათა თურმანიძემ (პ/ნ 61005004423), რომლითაც მოითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ აცანაში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული N 12-13.41 კვ.მ. ფართისა (ს/კ 27.02.44.003) და სოფელ ნინოშვილში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (27.12.41.004) პირველ სართულზე არსებული N 12-16.37 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემა სტომატოლოგიურ კაბინეტის მოსაწყობად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გასაცემად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

გთხოვთ, დაავალოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურს აღნიშნული საკითხის განხილვა და დადებითი პასუხის შემთხვევაში სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია -

 პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით -იჯარის ფორმით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული შენობის (ს.კ 27.02.44.003) პირველ სართულზე არსებული N12- 13.41 კვ.მ. ფართის მათა თურმანიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარის ფორმით (საიჯარო ფართის წლიური ღირებულება 296.2 ლარი) გადაცემაზე.

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული შენობის (ს.კ 27.12.41.004) პირველ სართულზე არსებული N12- 16.37 კვ.მ. ფართის მათა თურმანიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარის ფორმით (საიჯარო ფართის წლიური ღირებულება 245.55ლარი) გადაცემაზე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

დანართი N1							
N რიგზე	საჯარო ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	საიჯარო ფართის N და (სიდიდე) (კვ.მ)	საიჯარო ობიექტის საწყისი ღირებულება (ლარი)	საიჯარო ფართი 1კვ. საწყისი ღირებულება (ლარი)	საიჯარო ფართის წლიური ღირებულება -5%(ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1	ნინოშვილის ადმინისტრაციული შენობა	27.12.41.004	N12-16.37	4911	300	245.55	
2	აცანის ადმინისტრაციული შენობა	27.02.44.003	N12-13.41	5923.2	441.7	296.2	



შ.პ.ს. „ბელოდი“

27.12.41.004

შენიშნა №-1

I სართული

ადმინისტრაციული შენობა



12-სტომბატოლოგის ოთახი


შენიშნის შიდა აზომებითი ნახაზი

დაამუშავა	ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერია	ზესტაფონი, ჭვრეტლის ქ. №8
მისამართი	ლანჩუთი ხოვ, ნინოშვილი	დირექტორი
პირველი სართულის ფართი	341.13 კვ.მ.	შეასრულა
		კომპ. უზრუნველყო
		მასშტაბი 1:100
		მ.მუშლაძე
		ე. ბაგაური
		დ.მუშლაძე
		12.02.2020

შ.პ.ს. „ბელოდი“

სკ 27.02.44.003
შენიშნა N-1
I სართული

ადმინისტრაციული შენობა



შენიშნის შიდა აზომების ნახატი	
რამდენად	კვანძების რაოდენობის მართა
მასშტაბი	დასახული სივ. აქსონ
პირველი სართულის ფართობი	490.69 კვ.მ.



დახსიანით მუნიციპალიტეტის მხს

მაქ. ადგილობრივი საბჭოს.

მთავ. თანამდებობის (მუხრანის სოფ. საბჭოს)

ფაქ. 558 46 4665 მთ. ციფრ. 6100500442

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ვ შ ა

სტავროპოლის მხარის ავტონომიური დახსიანით

მუნიციპალიტეტის სოფ. ნინოწვილის

ადმინისტრაციული ერთეული, (ს.კ. 27.12.41.00

და სოფ. ანანასი ადმინისტრაციული ერთეული

(ს.კ. 27.02.44.003.) სახვად საბჭოს

ახსიანით მუხრანის საბჭოს

მოსახლეობის.

განმეცხველი: 

25.08.20.

4623

25 08 20

